საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა

1986 წლის 5 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ" მოხსენების განხილვის გამო გამართულ კამათში გამოვიდა ამხანაგი მ. რ. საგდიევი — ყაზახეთის კომპარტიის კოკჩეტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

შემდეგ ყრილობას მიესალმა ამხანაგი გორდონ მაკლენანი — დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი.

შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ი. ვ. ფრანცენიუკი — ნოვოლიპეცკის ი. ვ. ანდროპოვის სახელობის მეტალურგიული კომბინატის დირექტორი, ვ. ი. სიტნიკოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ამით კამათი მოხსენების გამო შეწყდა.

განხილულ საკითხზე დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის სახელით გამოვიდა ამხანაგი ლ. ნ. ზაიკოვი.

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებს შემოტანილი დამატებებითა და ცვლილებებითურთ და იღებს დადგენილებას ამ საკითხზე.

ცნობად იღებენ ყრილობის სამდივნოს ინფორმაციას სკკპ XXVII ყრილობის სახელზე გამოგზავნილი წერილების, მიმართვების, წინადადებების, შენიშვნებისა და აპელაციების განსახილველად მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ყრილობამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს დაავალა დაამთავროს ეს მუშაობა და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის მომდევნო პუნქტის განხილვას — პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნებს.

6 მარტს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVII ყრილობამ. საბოლოო სიტყვით ყრილობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

(საქდესი).

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1986 წლის 6 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიერ არჩეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

პლენუმმა აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობით:

პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, დ. ა. კუნაევი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. ვ. შჩერბიცკი, ვ. მ. ჩებრიკოვი.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ამხანაგები პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ს. ლ. სოკოლოვი, ი. ფ. სოლოვიოვი, ნ. ვ. ტალიზინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი — გენერალური მდივანი, ა. პ. ბირიუკოვა, ა. თ. დობრინინი, ვ. ი. დოლგიხი, ლ. ნ. ზაიკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ა. ნ. იაკოვლევი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, გ. პ. რაზუმოვსკი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცა ამხანაგი მ. ს. სოლომენცევი.

ცნობა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომის შესახებ

1986 წლის 6 მარტს გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

კომისიამ სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი ი. ვ. კაპიტონოვი.

კომისიამ აირჩია სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ბიურო შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ი. ვ. კაპიტონოვი — თავმჯდომარე, ა. ა. ნიზოვცევა — თავმჯდომარის მოადგილე, ვ. თ. კონოვი, პ. პ. ლაპტევი, მ. ი. ხალდეევი — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ბიუროს წევრები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 47 (9138)
8 მარტი,
შაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

საბჭოთა ქალებს

ძვირფასო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს — მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალების ინტერნაციონალური სოლიდარობის დღეს!

ეს ერთ-ერთი ყველაზე ნათელი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია, რომელიც გაზაფხულთან, ბუნების ცხოველმყოფელი ძალების განახლებასთან ერთად გვეწვევა ხოლმე. წელს იგი აღინიშნება პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენის შემდეგ. ეს-ეს არის მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVII ყრილობამ. მის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების მთავარი მიჯნები, დასახულია ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის დაჩქარების ვრცელი პროგრამა. პარტიის მეცადინეობა მიზნად ისახავს უზრუნველყოს სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავება, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესება.

ყრილობის ხასიათით და მასშტაბით ჭეშმარიტად რევოლუციური გადაწყვეტილებების განხორციელება დამოკიდებულია მთელი ხალხის, ყოველი ადამიანის დაძაბულ შრომაზე და მნიშვნელოვანწილად თქვენზე, ძვირფასო ქალებო, თქვენს ინიციატივაზე, ენერგიაზე, შემოქმედებითს მეცადინეობაზე. ლენინის სიტყვები, რომ მხოლოდ ქალის დახმარებით, მისი დაკვირვებისა და შეგნების დახმარებით შეიძლება ახალი საზოგადოების მშენებლობის განმტკიცება, დღესაც აქტუალურია. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მტკიცედ სწამს, რომ თქვენი მარჯვე ხელები, მაძიებელი გონება, მოამაგეობა, სიკეთე, გულისხმიერება კიდევ უფრო აქტიურად ემსახურება სოციალიზმის სრულყოფის საქმეს. ამის საწინდარია საბჭოთა ქალების სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი მიღწევები კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს ისტორიის ყველა ეტაპზე.

იზრდება საბჭოთა ქალების როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოების ყოველი მეორე დეპუტატი ქალია. ხუთ მილიონზე მეტი მშრომელი ქალია გაერთიანებული სკკპ რიგებში, 1352 მათგანი პარტიის XXVII ყრილობის დელეგატი იყო. კომუნისტური პარტია კვლავაც განუხრელად განახორციელებს კურსს, რომელიც ითვალისწინებს ქალების ფართოდ ჩაბმას სახელმწიფო საქმეთა მართვაში, მრავალმხრივ საზოგადოებრივ მუშაობაში.

დღეს განსაკუთრებით გულთბილად მივმართავთ დედებს. ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღე ისეთი იქნება, როგორიც შვილები გაგვეზრდება. აღზარდეთ თქვენი ვაჟიშვილები და ქალიშვილები სოციალისტური სამშობლოს შეგნებულ, პატიოსან, შრომისმოყვარე მოქალაქეებად! გულითად მადლობას გიხდით დაუცხრომელი, კეთილშობილური დედური შრომისათვის!

სკკპ XXVII ყრილობის დოკუმენტებში ასახულია პარტიის მზარდი ზრუნვა ქალებისათვის, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ბავშვიანი ოჯახებისათვის. დედათა და ბავშვთა დაცვა ჩვენში სახელმწიფო პოლიტიკა, სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივი კანონია.

დიდ მადლიერებას იწვევს საბჭოთა ქალების ბრძოლა მშვიდობისათვის, ბირთვული ომის საშიშროების წინააღმდეგ. სოციალიზმის ქვეყნების ქალებთან, ყველა კონტინენტის მშრომელ ქალებთან, კავშირურთიერთობის განმტკიცებით თქვენ აქტიურად უწყობთ ხელს სკკპ მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებას, რომელიც კიდევ უფრო განვითარდა პარტიის XXVII ყრილობაზე. საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა არასოდეს აღარ განმეორდეს ომის ტრაგედია, რათა დედებმა და შვილებმა მუდამ მშვიდობიანი ცის ქვეშ იცხოვრონ. ამას ისახავს მიზნად უახლოესი 15 წლის მანძილზე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის შესახებ ახალი საბჭოთა წინადადებანი. მიმდინარე წელი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა, შეიძლება გახდეს უგუნური ბირთვული შეიარაღების დასასრულის დასაწყისი.

ძვირფასო ქალებო!

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას! დაე იმრავლოს თქვენმა წარმატებებმა შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში! მუდამ გახარებულნი ყოფილიყავით შვილებისაგან!

დიდება საბჭოთა ქალებს!

მხურვალე სალამი მოძმე სოციალისტური ქვეყნების ქალებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალების ერთიანობასა და სოლიდარობას!

დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ჩვენი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

შემოდგომა არც ისე შორსაა

როგორც ცნობილია, თებერვლის მიწურულს შვეციის ქალაქ მალმიოში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი. მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრის უფლება მოიპოვა ბიჭვინთელმა დიდოსტატმა ელენა ახმილოვსკაიამ. ელენა უკვე თბილისში ჩამოვიდა და რედაქციაში გვეწვია.

● გილოცავთ ოცნების ასრულებას.

— გმადლობთ, მაგრამ ტურნირის წინ არ ვფიქრობდი, რომ მე გავხდებოდი პრეტენდენტი. ამის მეტი უფლება ნანა ალექსანდრიასა და ირინა ლევიტინას ჰქონდათ.

● აბა, როდის დაიჯერეთ, რომ პრეტენდენტი შეგეძლოთ გამხდარიყავით?

— მხოლოდ მეორე წრეში, ლევიტინასთან მოგების შემდეგ. მანამდე მხოლოდ მონდომებით ვთამაშობდი, მაგრამ როგორც კი გამოიკვეთა ჩემი შანსი, თამაში გამიჭირდა, ფსიქოლოგიურად ძნელი შეიქნა, იმდენად ძნელი, რომ ბოლო ტურში ყაიმზეც კი ვიყავი თანახმა ჩინელ მოჭადრაკესთან, რაც პირველ-მეორე ადგილების გაყოფას ნიშნავდა, მაგრამ ნებისყოფა დავძაბე, თავს ვაჯობე და გავიმარჯვე.

● ალბათ თავს ბედნიერად გრძნობთ, არა? — ადრე შეხვედრებში როგორია თქვენი ბალანსი მაიასთან?

— 1977 წელს მაიამ პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი მომიგო ანგარიშით 6,5:5,5. საკავშირო ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებშიც შევხვედრივართ ერთმანეთს, ოღონდ ყველა შედეგი არ მახსოვს.

● თქვენ მაიას მოუგეთ 1975 წლის საკავშირო ჩემპიონატში, მან კი 1979 წლის ჩემპიონატში აიღო რევანში.

— მართალია. ჩვენი პირველი შეხვედრაც 1973 წელს მაიას გამარჯვებით დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე. როგორც ხედავთ, ანგარიში აქაც მაიას სასარგებლოდაა.

● მომავალ მატჩზე რას ფიქრობთ?

— ჩემი აზრით, დღეს მაიას ვერავინ მოუგებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მთელი მონდომებით არ ვითამაშებ. ჩემპიონთან შეხვედრა ნებისმიერ მოჭადრაკეს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას სძენს.

● თქვენი აზრით, რამ შეუშალა ხელი ნანა ალექსანდრიას, ირინა ლევიტინასა და პია კრამლინგს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაციაში?

— ნანა ალექსანდრია აღიარებული ფავორიტი იყო. მაგრამ სტარტზე ორმა მოულოდნელმა წაგებამ გაუძნელა ბრძოლა, თუმცა რწმენა არ შერყევია. ნანა ჭეშმარიტი მებრძოლია. მომდევნო 12 შეხვედრაში მან 9 ქულა მოაგროვა. ეს ცოტა როდია. კვლავ რომ არ დაეკარგა ქულები, ვინ იცის... მაგალითად, ლევიტინას ეტლი და ქულა „აჩუქა". ნანას ძალიან უშლიდა ხელს ცაიტნოტი, რომელსაც თითქმის ვერც ერთ პარტიაში ვერ გადაურჩა.

ირინა ლევიტინა აშკარად არ იყო სპორტულ ფორმაში. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა კრამლინგთან პირველი პარტიის წაგებამ. შვედმა დიდოსტატმა იგი შინ მომზადებულ ვარიანტზე „დაიჭირა" და ლამაზად, ლაზიერის შეწირვით მოუგო.

თვით კრამლინგმაც ვერ „მოინელა" უ მინციანთან მოულოდ-

იხ. გვ. 2 გვ

თინანო, ჩვენო თინანო

აფროდიტე,
შობილი
ტალღებისაგან

ღია წერილი

თინათინ ლეკვეიშვილს

თინათინ ლეკვეიშვილი შვილებთან: შოთასთან, გიორგისთან და დათოსთან ერთად.

როცა ჩვენმა რედაქციამ შენზე წერილის დაწერა და გამოქვეყნება გადაწყვიტა, ეს საქმე მე დამავალეს. ან რატომ არ უნდა დაევალებინათ, მე ხომ ყველაზე უკეთ გიცნობ, ხშირად ერთად ვვარჯიშობდით და შენი ყოველი წარმატებაც გუშინდელივით მახსოვს. იმ წარმატებებიდან ყველაზე გამორჩეული მაინც ბარსელონის მთიან გარეუბანში მდებარე საცურაო აუზში — „ბერნანდო პიკორნელში" მოპოვებული გამარჯვებაა. სამამულო სპორტის ისტორიაში შენ იყავი პირველი, რომელმაც გულაღმა ცურვაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვე, თანაც სახელგანთქმული ფრანგი სპორტსმენის კარონის ექვსი წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესე— ევროპის რეკორდი. კომბინირებულ ესტაფეტაში შენი ეტაპი, პირველი ეტაპი, ყველაზე სწრაფად გაცურე, თანაგუნდელები დააწინაურე, რა შენი ბრალია, თუ იმათ ბოლომდე ველარ შეინარჩუნეს მონაპოვარი. მაგრამ არც ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალია სახუმარო საქმე და არც ის ბრინჯაოს ჯილდო, რომელიც 200-მეტრიან დისტანციაზე მოიპოვე. ამ წარმატებებმა და შენმა მომხიბვლელობამ ჩემპიონატის დღეებში ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად გაქცია. გახსოვს, რას წერდნენ ესპანეთის გაზეთები? — ლეკვეიშვილი, რომელიც ძალიან ჰგავს თვალებბრიალა ესპანელ გოგონას, მუდამ თაყვანისმცემელთა გარემოცვაშია, მუდამ ყურადღების ცენტრშიაო; თინას გულის მოგებას ცდილობენ ესპანური სერენადის ვარსკვლავები და კორიდის დიდოსტატებიც — ყველაზე პოპულარული და პატივცემული ხალხი ესპანეთის აპენინებშიო. გახსოვს, ერთმა გაზეთმა პირდაპირ ასე დაწერა: „ქართველმა გოგონამ დაატყვევა ესპანეთის საუკეთესო ტორეადორთა გულები". ამასთან, ყველა გაზეთი ერთხმად აღნიშნავდა შენს საოცარ რიდსა და მოკრძალებას.

ის წელიწადი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი იყო შენს ცხოვრებაში. იმ წელიწადს საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტიც გახდი. მაშინ ჯერ კიდევ თოჯინები გიტაცებდა. სარედაქციო არქივში ვნახეთ ალექსანდრე საკოვის მიერ გადაღებული შენი ფოტოსურათი — თოჯინას ეალერსები.

მას შემდეგ ლამის თექვსმეტი წელიწადი გასულა. მაშინ სწორედ თექვსმეტისა იყავი.

შენი ტრიუმფის წლებში დაბადებული გოგონები და ჭაბუკები გვთხოვენ, თინა ლეკვეიშვილის სპორტული ბიოგრაფია გაგვაცანითო. აბა, ჩვენ მკითხველს ხომ არ გავაწბილებთ. ამიტომ შენს სანახავად თელავში გავემგზავრე. საავადმყოფოში მივედი, მეგონა, კიდევ იქ მუშაობდი, მითხრეს სოფელ სანიორეს პოლიკლინიკაში გადავიდაო. რომ იცოდე, რა გულდაწყვეტილები არიან შენი იქიდან წასვლით. დიდებული ადამიანი და გულისხმიერი ექიმიაო, პაციენტები ძალიან ემადლიერებიანო. ისიც მითხრეს, როცა თელავის რაიონს, შენი მეუღლის მშობლიურ რაიონს მიაშურე, ამ ამბავს როგორ გაუხარებია იქაურები. ადგილობრივი გაზეთი წერდა თურმე, „ოქროს თევზი" თელავშიაო.

ახლა ისიც მახსენდება, კიდევ რა ეპითეტებით გამკობდნენ რესპუბლიკური, საკავშირო თუ უცხოეთის გაზეთები: „მათი ოცნების ქალიშვილი", „ბარაქალა შენს ქალობას", „თბილისელი ოქროს თევზი"... არა, ყველას გახსენება ძალიან შორს წამიყვანს.

მაინც, რა საოცარი, კურიოზული შემთხვევით დაწყებულა შენი სპორტული ბიოგრაფია. შენი კარის მეზობელს თავისი ვაჟი „დინამოს" საცურაო აუზზე მიუყვანია. იქ ქვა აუგდიათ და თავი შეუშვერიათ — ბიჭები ბევრი გვყავს, გოგო რომ იყოს, მივიღებდითო. მერე იმ მეზობელს ეშმაკობისთვის მიუმართავს — პირობა მიუცია, თუ ჩემს შვილს ცურვის სექციაში მიიღებთ, სამაგიეროდ ორ გოგონას მოგიყვანთო. იმ ორიდან ერთი შენ ყოფილხარ. მაშინ ექვსი წლისა იყავი. ცურვის სწავლა ვერ მოასწარი, რომ გაცივდი და მთელი ოთხი წელიწადი აუზს აღარ გაჰკარებიხარ. მერე დაბრუნდი, დაბრუნდი და მერე როგორ. სწრაფად მიიწევდი წინ, სულ წინ, ოლიმპოსაკენ მიმავალ გზაზე. პირველი სასიხარულო ცნობა მივიღეთ წახკაძორიდან, სადაც პირველად დაიმსახურე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროსა და ვერცხლის მედლები (100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში). მაშინ ზოგიერთი სკეპტიკოსი ამბობდა, მეტს ველარაფერს მიაღწევსო, მაგრამ შემდეგ წელიწადს წახკაძორის წარმატება ხარკოვში გაიმეორე. მაშინ შენი ფინალური გაცურვა 100 მეტრზე თავიდან ბოლომდე ფოტოფირზე აღვბეჭდე. სტარტიდან რამდენიმე წამში შენი ძველი მეტოქეები დაწინაურდნენ — უკრაინის წარმომადგენელი კომაროვა, ლენინგრადელები ბურბელო და საველიევა. მერე შენ ტემპს მოუმატე და თანდათან ყველა უკან ჩამოიტოვე, ლაღად და თავისუფლად მიცურავდი, არა, კი არ მიცურავდი, როგორღაც მისრიალებდი, თითქოს რაღაც უხილავი ძაფი გეწეოდა წინ. თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში შეძახილები, ხარკოვის ღია საცურაო აუზზე რომ გაისმოდა: „მიდი, თინანო, მიდი"... რა დახვეწილი ტექნიკა გქონდა. ერთ რამედ ღირდა შენი ცურვის ცქერა. ხარკოველი მაყურებელი დიდხანს, ძალიან დიდხანს გიკრავდა ტაშს. აუ, რა ზეიმი იყო მაშინ ჩვენს ბანაკში, შენი თანაგუნდელების ბანაკში. ის ზეიმიც ფირზე აღვბეჭდე. ერთ სურათზე დედაშენს გულში ჰყავხარ ჩაკრული. არადა, გახსოვს, ერთ დროს, ხშირად რომ ცივდებოდი, დედას შენი ცურვაზე გაშვება აღარ უნდოდა. უნდოდა მუსიკოსი გამოსულიყავი. მუსიკალური შვიდწლედი მაინც დაამთავრე, მერე კი მთელი ყურადღება ცურვაზე გადაიტანე. ცურვამ გაგაკაჟა. სურდო და გაციება ვილას ახსოვდა. თანდათან მოღონიერდი. გამძლეობაც მოგემატა. ლვოვში, საკავშირო ჩემპიონატზე 200-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვე. ამას 1981 წელს მოსკოვში შენი ტრიუმფი მოჰყვა. მაშინ ერთბაშად ოთხი ოქროს მედალი მოიპოვე, ორი — საკავშირო ჩემპიონატში, ორიც — ჩვენი ქვეყნის ხალხთა V სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებებში. შენს ბოლო საკავშირო ჩემპიონატში კიდევ თითო ოქროს და ვერცხლის მედალი დაიმსახურე, თანაც 200 მეტრზე ჯერ წინასწარ, შემდეგ კი ფინალურ გაცურვაში შენივე საკავშირო რეკორდები გააუმჯობესე.

მახსენდება შენი გამოსვლები საერთაშორისო სარბიელზე. პირველი დიდი წარმატება ბრატისლავაში მოიპოვე, ევროპის თასის გათამაშებაში, სადაც ორი ბრინჯაოს და ერთიც ვერცხლის მედალი დაისაკუთრე. შემდეგ წელიწადს კი იყო ბარსელონა, „ბერნარდო პიკორნელის" საცურაო აუზი და შენი ტრიუმფი, რომელსაც ხუთი ათასი აღფრთოვანებული ესპანელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. გუშინდელივით მახსოვს შენი დაბრუნება ბარსელონიდან. თბილისის აეროპორტში შენს დასახვედრად უამრავ ხალხს მოეყარა თავი. იქ იყვნენ შენი ახლობლებიც, მეგობრებიც, ნაცნობებიცა და უცნობებიც. მიწაზე ფეხი დადგი თუ არა, ალყაში მოგაქციეს.

რომ იცოდე, ახლა საქართველოს ნაკრებს როგორ უჭირს უშენოდ, შენისთანა მოცურავეების გარეშე...

ამ რამდენიმე დღის წინ თბილისში გეწვიე. შენს წარმატებებზე ვლაპარაკობდით. შენს ბიჭებს — ხუთი წლის დათოსა და ექვსი წლის გიორგის ჩვენთვის არ ეცალათ, უდარდელად თამაშობდნენ, უფროსი კი, თორმეტი წლის შოთა, ყურადღებით გვისმენდა. დროდადრო გვეკითხებოდა, დედიკო, მართლა ასე იყოო? ახლა, ამ ღია წერილს იმიტომაც გწერ, რომ მინდა მათაც, მომავალმა მოცურავეებმა, იცოდნენ, როგორი დედა ჰყავთ.

...ახლა, თექვსმეტი წლის მერე, იმ ესპანელ ჟურნალისტებს სამი შვილის დედა რომ ენახე, დარწმუნებული ვარ, დაახლოებით ასე დაწერდნენ — თინა ლეკვეიშვილი ისეთივე მშვენიერი და მომხიბვლელია, როგორიც „ბერნარდო პიკორნელის" აუზში ასპარეზობის დროს იყოო.

ავთანდილ გურასაშვილი.

ალექსანდრე საკოვისა და ავტორის ფოტოები.

ნონა გაფრინდაშვილის აზრით

სკკპ XXVII ყრილობის სტუმარმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, დიდოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა მოსკოვში ჟურნალ „64 — შახმატნოე ობოზრენიეს" ზეპირ გამოშვებაში მიიღო მონაწილეობა.

როგორც საქდესის კორესპონდენტი იტყობინება, ნონა გაფრინდაშვილმა თავის გამოსვლაში კომენტარი გაუკეთა მალმიოში გამართულ პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის შედეგებს.

— მალმიოში ვერც ერთმა უცხოელმა მოჭადრაკემ — შვედმა პია კრამლინგმა, პოლონელმა აგნეშკა ბრუსტმანმა და ჩინელმა უ მინციანმა — სერიოზული მეტოქეობა ვერ გაუწია საბჭოთა დიდოსტატებს, მაშინ, როცა, მაგალითად, კრამლინგი ხშირად ვაჟთა ტურნირებშიც კი მონაწილეობს, — თქვა ნონა გაფრინდაშვილმა. — შეჯიბრების დაწყების წინ მეტოქეთა შანსებს ასეთი თანმიმდევრობით ვაფასებდი: ნანა ალექსანდრია, ირინა ლევიტინა, ელენა ახმილოვსკაია, პია კრამლინგი, მაგრამ ძალთა რეალურ შეფარდებაში თავისი კორექტივი მეტოქეთა მომზადებამ და სპორტულმა ფორმამ შეიტანა. შესანიშნავად მომზადებულმა ალექსანდრიამ წარუმატებლად აიღო სტარტი. ამის გამო მას ბევრად გაუსწრეს ლიტინსკაიამ და ახმილოვსკაიამ. ბრძოლის მსვლელობაში ნერვული ფაქტორიც ჩაერთო: ფენომენალური სტარტის — 6 შეხვედრაში 5,5 ქულის მოგროვების შემდეგ ლიტინსკაიამ მომდევნო 8 შეხვედრაში მხოლოდ 2,5 ქულის აღება შეძლო. ერთადერთმა ახმილოვსკაიამ ჩაატარა მთელი ტურნირი თანაბრად და დაჯერებულად. უნდა ითქვას, რომ ბოლო წელი „ახმილოვსკაიას სეზონი" იყო. გავბედავ და ვიტყვი, რომ მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოპოვებაში მას ხელი შეუწყო საცხოვრებლად საქართველოში გადმოსვლამ. ჩემი აზრით, ჩიბურდანიძესთან მატჩში მისი შანსები ძალზე პრობლემატურია.

* * *

ყრილობას მიუძღვნეს

წლეულს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" თბილისის საქალაქო საბჭოს მუშაკებმა პირველი ტურისტული ლაშქრობა სკკპ XXVII ყრილობას მიუძღვნეს. ტურიზმის მოყვარულთა დიდი რაზმი, რომლის უმრავლესობას ცეკავშირის კოოპერატიული ტექნიკუმის სტუდენტები შეადგენდნენ (დირექტორი გ. კერვალიშვილი, ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი შ. გონენაშვილი), უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის გვერდის ავლით გაემართა სოფელ აგარაკამდე, შემდეგ კი ლისის ტბასთან შეჩერდა. მოლაშქრეებმა აქ მშთ ნორმატივები ჩააბარეს და შინ იმ გადაწყვეტილებით დაბრუნდნენ, რომ მსგავს მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს მომავალშიც ხშირად მოაწყობენ.

ნ. ბალაშვილი,
სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

შემოდგომა არც ისე შორსაა

(დასასრული)

ნელი წაგება. თანაბარ მდგომარეობაში მან უხეში შეცდომა დაუშვა და მყისვე უიმედო პოზიციაში აღმოჩნდა, ჩემი აზრით, პიაზე თანამემამულეთა გადაჭარბებულმა ქომაგობამაც იმოქმედა. ჩანს, ის არ არის ზედმეტ ყურადღებას ჩვეული. კრამლინგი ძლიერი მოჭადრაკეა, მაგრამ ჩვენებს ჯერ მაინც ვერ სჯობნის.

● **დანარჩენებზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა.**

— ყველასთვის მოულოდნელი იყო პირველ წრეში მარტა ლიტინსკაიას დაწინაურება. ის არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ზოგჯერ ბედი წყალობდა. მაგალითად, ალექსანდრიასთან მას თავიდან უარესი პოზიცია ჰქონდა, თავად ნანას რომ არ მიეცა მოგების შანსი. მეორე წრის პარტიებში მარტას შეცდომა უკვე არავინ აპატია. ლიდია სემიონოვას აკლდა მომზადება. აგნეშკა ბრუსტმანი ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ მისთვის, როგორც უ მინციანისთვის, პრეტენდენტთა დონეზე თამაში ნაადრევი იყო. მას და ჩინელ დიდოსტატს აშკარად აკლიათ გამოცდილება.

● **მასპინძლებზე, ტურნირის ორგანიზაციაზე რას გვეტყვით?**

— ამ ზღვისპირა პატარა ქალაქში სულ 250 ათასი კაცი ცხოვრობს. ჩვენ ქალაქის რატუშაში — მალმიოს ყველაზე ძველ და ლამაზ შენობაში ვთამაშობდით. მაყურებელიც საკმაოდ გვყავდა. ტურნირს ფართო რეკლამა ჰქონდა პია კრამლინგის გამო. რამდენჯერმე პიას ძმაც — ცნობილი საერთაშორისო ოსტატიც დაგვესწრო. მონაწილენი სასტუმრო „სკაილაინში" ვცხოვრობდით. მწვრთნელი ყველა მონაწილეს გვახლდა: მე — საერთაშორისო ოსტატი რიმა ბილუნოვა, რომლის დიდად მადლიერი ვარ, ალექსანდრიას—ვილნიუსელი დიდოსტატი ვიქტორ გავრიკოვი, ლიტინსკაიას — ოსტატობის კანდიდატი ვიაჩესლავ სროკოვსკი, სემიონოვას — ოსტატი ვლადიმერ ლეპიოშკინი, ლევიტინას — დიდოსტატი აივარ გიპსლისი. კრამლინგს ესპანელი დიდოსტატი იან ბელონი ეხმარებოდა, ბრუსტმანს ოთხი მწვრთნელი ახლდა, უ მინციანს — ერთი. დასვენების დღეს მასპინძლებმა პატარა სამუზეუმო ქალაქი ლუნდი დაგვათვალიერებინეს, ერთი სიტყვით, ბრძოლისა და დასვენების შესანიშნავი პირობები გვქონდა.

● **თქვენი და მაიას მატჩი წლეულს სექტემბერ-ოქტომბერში უნდა გაიმართოს. თუ საიდუმლო არ არის, სად აპირებთ თამაშს?**

— ამას ერთად გადავწყვეტთ. ამჟამად მაია საფრანგეთშია, შინ მარტის მეორე ნახევარში დაბრუნდება. ჯერჯერობით თბილისი, ბიჭვინთა და ბორჯომი გვეპატიჟებიან.

● **მზადებას როდის დაიწყებთ?**

— ჯერ უნდა დავისვენო. ამ დღეებში ბაკურიანში მივემგზავრები. მერე წვრთნის მიზნით რამდენიმე ტურნირში მივიღებ მონაწილეობას. შემოდგომა არც ისე შორსაა.

სტუმარს ესაუბრა
თენგიზ გიორგაძე.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გამარჯვება „ჰანაპიშტადიონზე“

თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ (ვენის „რაპიდთან“ — 4:1) კიევის დინამოელებმა, ფაქტიურად, მოიპოვეს ნახევარფინალის საგზური. მაგრამ ხანამ ავსტრიის დედაქალაქში ჩატარებულ ამ შეხვედრაზე ვისაუბრებდეთ, ევროპის საკლუბო ტურნირებისადმი მიძღვნილ მიმოხილვას, ტრადიციისამებრ, ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩებით დავიწყებთ.

ჩემპიონთა თასის ტურნირში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი ბარსელონის „ნოუ კამპის“ სტადიონზე, სადაც „ბარსელონა“ პრიზის ახლანდელ მფლობელს, ტურინის „იუვენტუსს“ ხვდებოდა. მაგრამ, როგორც უცხოელი მიმომხილველები აღნიშნავენ, 120 ათასი მაყურებელი გაწბილებული დარჩა ამ სახელგანთქმული გუნდების თამაშით. მცირე უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო, მაგრამ მათ მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს ერთადერთი, გადამწყვეტი გოლის გატანა — 82-ე წუთზე ხულიო ალბერტომ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. მიუნჰენის ოლიმპიურ სტადიონზე „ბაიერნმა“ ბრიუსელის „ანდერლეხტს“ უმასპინძლა. I ტაიმში მიუნჰენელთა უპირატესობა აშკარა იყო, რაც მეტოქის კარში გატანილი ორი გოლით გამოიხატა (ჰიონესი, ვოლფარტი). მაგრამ შესვენების შემდეგ სტუმრებმა შედარებით გამოასწორეს მდგომარეობა და 72-ე წუთზე „ანდერლეხტის“ დანიელმა მოთამაშემ ანდერსენმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ეს გოლი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს გუნდების საბოლოო დავაში. ტურნირის დანარჩენი ორი მატჩი ფრედ დამთავრდა. კიდევ ერთხელ გააკვირვა სპეციალისტები ლაჰტის „კუუსიუსიმ“, რომელმაც ბუქარესტში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „სტიაუას“ — 0:0. შოტლანდიის „აბერდინი“ შვეციის „გიოტებორგთან“ შეხვედრაში ორჯერ დაწინაურდა (მილერი, ჰიუიტი), მაგრამ სტუმრებმა ორივეჯერ აღადგინეს წონასწორობა (ჰოლმგრენი, ექსტრიომი).

ვენის „ჰანაპიშტადიონზე“ კიეველთა მიერ მოპოვებული გამარჯვება ზემოთაც ვახსენეთ. საერთოდ, **თასების მფლობელთა თასის** ტურნირში ეს იყო ერთადერთი მატჩი, რომელიც დიდი ანგარიშით დამთავრდა. არადა, შესვენებამდე უპირატესობა „რაპიდის“ მხარეს იყო და მისმა თავდამსხმელებმა რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. მეორე ტაიმში კი თავი გამოიჩინა კიეველთა თავდამსხმელმა ბელანოვმა. მან ზედიზედ ორი გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში და ფაქტიურად გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. თამაშის დამთავრებამდე რაცმა და იაკოვენკომ კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი, რასაც ვენელმა ვილფურტმა ერთი ბურთით უპასუხა.

ნახევარფინალში გასვლის დიდი შანსი აქვს მადრიდის „ატლეტიკოსაც“, რომელმაც ბელგრადში სძლია „ცრვენა ზვეზდას“ — 2:0 (ორივე ბურთი და სილვას ანგარიშზეა). აღსანიშნავია, რომ მსაჯმა მინდვრიდან გააძევა იუგოსლაველი ჯუროვსკი. ამავე ანგარიშით (2:0) დრეზდენის „დინამომ“ შინ აჯობა იურდინგენის „ბაიერს“. მასპინძლებმა ორივე გოლი II ტაიმში გაიტანეს (ლიპმანი, პილცი). პრაღის „დუკლამ“ ლუჰოვის ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა ლისაბონის „ბენფიკა“.

უეფა-ს თასის გათამაშებაში ორი მატჩი დიდი ანგარიშით დამთავრდა. 3:0 — ასე დაამარცხა მადრიდის „რეალმა“ შვეიცარიის „ნევშატელ ქსამაქსი“, ხოლო მილანის „ინტერნაციონალემ“ — საფრანგეთის „ნანტი“. მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე 110 ათასი მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა „რეალის“ თამაშით. სანჩესმა, ბუტრაგენიომ და სალინასმა სამი „მშრალი“ გოლი გაიტანეს მეტოქის კარში. „ნანტმა“ ვერაფერი მოუხერხა „ინტერის“ თავბრუდამხვევ იერიშებს: ტარდელის, რუმენიგესა და ფრანგი ლერუს (საკუთარ კარში) გოლებმა „ნანტის“ პერსპექტივები სათუოდ აქციეს.

ჩემპიონთა თასი

„აბერდინი“ (შოტლანდია) — „გიოტებორგი“ (შვეცია) 2:2
„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია) 1:0
„ბაიერნი“ (გფრ) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 2:1
„სტიაუა“ (რუმინეთი) — „კუუსიუსი“ (ფინეთი) 0:0

თასების მფლობელთა თასი

„რაპიდი“ (ავსტრია) — „დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი) 1:4
„დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) 1:0
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) 0:2
„დინამო“ (დრეზდენი, გდრ) — „ბაიერი“ (იურდინგენი, გფრ) 2:0

უეფა-ს თასი

„სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „კიოლნი“ (გფრ) 1:1
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ნევშატელ ქსამაქსი“ (შვეიცარია) 3:0
„ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — „ვარეგემი“ (ბელგია) 1:0
„ინტერნაციონალე“ (იტალია) — „ნანტი“ (საფრანგეთი) 3:0

ბულგარელებსაც აჯობეს

ტაშკენტი, ტელეფონით. ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გაიმართა III ტურის შეხვედრები. საქართველოს ნაკრებმა კვლავ წარმატებით ითამაშა — ანგარიშით 2:0 დაამარცხა ბულგარელი თანატოლები. გოლები გაიტანეს ინალ ჯიოევმა (მე-4 წუთზე) და გია ლოლუამ (38-ზე). ამავე ჯგუფში უკრაინელებმა სძლიეს პოლონელებს — 1:0. ორი მატჩი ჩატარდა „ბ“ ჯგუფში: უნგრეთი — უზბეკეთი 2:2, ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი-II 0:0.

მორიგ ტურში ქართველი ჭაბუკები საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებს ხვდებიან.

მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა

სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა ამ დღეებში უმასპინძლა საქართველოს მოსწავლეთა პირად პირველობებს სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებამ მოსწავლეთა XVIII საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების კანდიდატები შეარჩია.

სამბისტთა ტურნირში 15 ქალაქისა და რაიონის 180 სპორტსმენი ჩაება. უნდა ითქვას, რომ სპორტის ამ სახეობაში ბავშვთა შორის არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. მოზარდები ვერ ერკვევიან სამბოს ნიუანსებში, ცუდად იცნობენ ამ სახეობის წესებს. ერთი სიტყვით, მეტი მუშაობა გვმართებს, რომ ღირსეულად წარვსდგეთ ბავშვთა სპორტის მომავალ ფორუმზე.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: რ. ზედგენიძე (რუსთავი), კ. კუსიდი (აფხაზეთი), მ. დილებაშვილი (გარდაბანი), პ. გრძელიშვილი (თელავი), ვ. დვალაძე (რუსთავი), ზ. კეჟერაშვილი (გარდაბანი), ი. თევზაძე (სამტრედია), ვ. ორკოდაშვილი (თელავი), მ. ქორქოლიანი (მესტია), ა. ფალიანი (თელავი), ფ. ყვავილაშვილი (რუსთავი), ა. თანდიაშვილი (თბილისი), დ. ბედინაშვილი (გარდაბანი), კ. ბაკურაძე (ქუთაისი), ვ. ავალიანი (რუსთავი), ვ. ჰიაბრიშვილი (თბილისი).

თავისუფალ ჭიდაობაში 20 ქალაქისა და რაიონის 260-მა მოსწავლემ იასპარეზა. აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, გამოვლინდნენ პერსპექტიული მოჭიდავეები.

აი, ვინ დაიკავა პირველი ადგილები: რ. კაკულია, მ. მხეიძე, დ. ვაშაკიძე (სამივე — სამტრედია), გ. გაგლოშვილი, დ. კაპანაძე (ორივე — თბილისი), ზ. მეშვილდიშვილი (გორი), გ. ჩხაიძე (მცხეთა), კ. ქობულაძე (ბოლნისი), დ. ცაციაშვილი (გორის რაიონი), გ. ხარაიშვილი (აფხაზეთი), ბ. ბუქური (თბილისი), გ. სეფაშვილი (ყვარელი), შ. თუთბერიძე (თბილისი), გ. პატაშური (თბილისი), ნ. მანჯგალაძე (სამტრედია), რ. კუპატაძე (ჭიათურა), ზ. მაისურაძე (თბილისი), გ. ფანიაშვილი (გორი).

ჯემალ ლორია,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ორიენტირია მთავარი შეჯიბრებები

მეთოდიკა

სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა მთელი წლის პროგრამაა. იგი სპორტის ამა თუ იმ სახეობის შემდგომი განვითარების გზებს უნდა სახავდეს და ხელს უნდა უწყობდეს მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებას, შეჯიბრების კალენდარი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ სპორტსმენებმა საუკეთესო შედეგებს წლის გადამწყვეტ, საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში მიაღწიონ. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ყველა ასპარეზობა. კალენდარში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობა და სისტემატური შეხვედრები უცნობ გუნდებთან. თუ სპორტსმენი მუდმივად ნაცნობ მეტოქეს ეჯიბრება, მას შეიძლება განუვითარდეს სტერეოტიპი. ეს განსაკუთრებით სახიფათოა გამოუცდელი სპორტსმენებისათვის, რომლებიც შემდგომ უცნობ, უფრო გამოცდილ, მეტოქეებთან ბრძოლაში ხშირად მარცხდებიან.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენი მძლეოსნების რესპუბლიკურ კალენდარში? საქართველოს ნაკრები გუნდის 1986 წლის კალენდარულ გეგმაში სულ რამდენიმე ტურნირია შეტანილი, რაც ცხადია, შეაფერხებს მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებას. არც წინა წლებში იყო უკეთესი მდგომარეობა. ნაწილობრივ ამის ბრალიცაა, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრთა შედეგები საკავშირო მასშტაბით საკმაოდ დაბალი გახლავთ. სპორტსმენთა უმრავლესობაც დაბალი შედეგების მიზეზად ხშირად შეჯიბრებების სიმცირეს ასახელებს. ჩვენი სპორტსმენების მოუმზადებლობა მთელი სიცხადით საკავშირო სპარტაკიადების წინ გამოვლინდება ხოლმე.

1983 წელს თბილისის VIII სპარტაკიადაზე 182 მონაწილიდან ჩასათვლელი ნორმატივი — პირველი თანრიგი მხოლოდ 82 მძლეოსანმა შეასრულა, თითქმის ანალოგიური სურათი იყო საქართველოს VIII სპარტაკიადაზეც, სადაც 387 სპორტსმენიდან ჩასათვლელი ნორმატივი (I თანრიგი) ვერ შეასრულა 232 კაცმა, მათგან 17 სპორტსმენი III თანრიგის ნორმატივსაც ვერ გაწვდა, თანრიგი 7 მძლეოსანმა აიმაღლა, 65 კაცმა კი მხოლოდ გაიმეორა იგი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრების 33 წევრმა (20 ვაჟი და 13 ქალი) მძლეოსნობის 37 სახეობაში იასპარეზა (ვაჟებმა 23, ქალებმა 14 სახეობაში). 37 სახეობიდან მათ მხოლოდ 8 სახეობაში (21,6 პროცენტი) გააუმჯობესეს პირადი შედეგები იმ შედეგებთან შედარებით, რაც თბილისის და საქართველოს სპარტაკიადაზე აჩვენეს. 29 სახეობაში გააუარესეს ისინი (78,4 პროცენტი). საერთო ჯამში ჩვენი გუნდის წარმომადგენლებმა 37-დან მხოლოდ 9 სახეობაში მიიღეს ჩათვლა.

რით შეიძლება აიხსნას ასეთი ჩამორჩენა? არსებული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა მწვრთნელები ვერ გეგმავენ საწვრთნო პროცესს ისე, რომ საპასუხისმგებლო შეჯიბრებას მათი შეგირდები მაღალ სპორტულ ფორმაში შეხვდნენ. მაგალითად 1983, სპარტაკიადის წელს საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა საუკეთესო შედეგი უჩვენეს: თებერვალში — 1, აპრილში — 4, მაისში — 13, ივნისში — 8, ივლისში — 1, აგვისტოში — 1, სექტემბერში — 5. ხალხთა VIII სპარტაკიადაზე (ივნისი) კი მხოლოდ 5 სპორტსმენმა (13,5 პროცენტი) — მ. აზარაშვილმა (200 მ), ზ. გუჩმაზოვამ (400 მ.), ბ. გოცირიძემ (200 მ), ა. ხრომოვმა (400 მ), ო. სტრიჟაკოვმა (5000 მ) — გააუმჯობესა პირადი მიღწევა. ამრიგად 33-დან 28 კაცმა (86,5 პროცენტი) შედეგი გააუარესა, ზოგიერთი კი თავის საუკეთესო შედეგს ვერც კი მიუახლოვდა. საოცარია, მაგრამ ფაქტია: ჩვენი ნაკრები გუნდის წევრებმა მაისის თვეში თბილისის და საქართველოს სპარტაკიადაზე რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდიც კი დაამყარეს, მაგრამ VIII საკავშირო სპარტაკიადამდე დარჩენილი ერთი თვის განმავლობაში ფორმა ვერ შეინარჩუნეს და უკან დაიხიეს.

ჩამორჩენის მიზეზების შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა შეამცირეს მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა, საფუძვლიანი მომზადების გარეშე მაქსიმალური დატვირთვით, ფორსირებულად ივარჯიშეს. მართალია, სეზონის დასაწყისში სწრაფად ჩადგნენ ფორმაში, მაგრამ შემდგომ მძლეოსანთა უმრავლესობამ სათანადო ფიზიკური მოუმზადებლობის გამო სწრაფადვე დაკარგეს იგი. ფორსირებული მომზადების ბრალი იყო ისიც, რომ ნაკრები გუნდის 54,5 პროცენტი შეჯიბრებისა და ვარჯიშის მსვლელობაში დაშავდა.

საბჭოთა სპეციალისტები ნ. ნაბოტნიკოვა, კ. გრაევსკაია ჯერ კიდევ 1962 წელს წერდნენ, რომ სპორტსმენთა ტრავმებს უმეტეს შემთხვევაში სპორტსმენთა დაუგეგმავი მომზადება იწვევს, წლების განმავლობაში მათი პედაგოგიური, ფიზიკური და ჰიგიენური წვრთნის ძირითადი პრინციპების დარღვევა თავის დაღს ამჩნევს სპორტსმენთა შედეგებს. კვლევის შედეგად ეს სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სპორტსმენთა ჯანმრთელობის შელახვის ძირითადი მიზეზი ფორსირებული წვრთნაა.

იმისათვის, რომ სპორტსმენმა საშეჯიბრო პერიოდში მაღალ და სტაბილურ შედეგს მიაღწიოს, მოსამზადებელ პერიოდში მან უნდა ჩაატაროს დიდი მოსამზადებელი მუშაობა იმ ფუნდამენტის შესაქმნელად, რაც ზაფხულის პერიოდში შემდგომი ინტენსიური წვრთნის საშუალებას მისცემს. სწორედ ამიტომ მოსამზადებელი პერიოდის ფიზიკურ ვარჯიშთა მოცულობა მნიშვნელობით უნდა აღემატებოდეს საშეჯიბრო პერიოდისას, თანაც მრავალფეროვანი უნდა იყოს:

1982-83 წლებში ჩვენ შევისწავლეთ რესპუბლიკის 10 საუკეთესო მძლეოსანთა (ცალკეულ სახეობებში) პირადი შედეგების ზრდის დინამიკა. ამ ანალიზმა ერთი მკვეთრად გამოხატული კანონზომიერება გვიჩვენა: ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ წლის რომელ დროს აღწევდნენ უმაღლეს სპორტულ ფორმას ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნები უკანასკნელი პერიოდის მანძილზე.

	სპორტსმენთა რაოდენობა	თვეები											
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ვაჟები	296	5	13	7	38	94	32	7	14	28	54	3	1
ქალები	210	4	3	13	22	81	22	12	5	7	37	4	—
სულ	506	9	16	20	60	175	54	19	19	35	91	7	1
		280-55,3%						127-25,1%			99-19,6%		

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ საუკეთესო შედეგს საშეჯიბრებო პერიოდში ჩვენი სპორტსმენების მხოლოდ 25,1 პროცენტმა მიაღწია. ე. ი. მძლეოსანთა უმრავლესობა თავის საუკეთესო სპორტულ ფორმას მოსამზადებელ პერიოდში აღწევს, რაც ყოვლად დაუშვებელია. სრულიად გაუმართლებელია ისიც, რომ ჩვენი გუნდის ზოგიერთი წევრი მზადების მწვერვალს იანვარსა და მარტში აღწევენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ნოემბერ-დეკემბერზე.

წლეულს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა უნდა გაიმართოს. რესპუბლიკის მძლეოსნები დროულად შეუდგნენ ამ შეჯიბრებისათვის მზადებას. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა უძლიერესმა სპორტსმენებმა უკვე ზამთრის შეჯიბრებებზე აჩვენეს მაღალი სპორტული შედეგები. ეს კარგია, მაგრამ საკავშირო სპარტაკიადამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ VIII საკავშირო სპარტაკიადაზე დაშვებული შეცდომები აღარ განმეორდეს და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები კარგად მომზადებული შეხვდეს წლის მთავარ შეჯიბრებას — საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადას.

ვალერი ვაშაკიძე,
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის დოცენტი, სპორტის ოსტატი.

ქალი და მარათონული რბენა

მარათონული რბენა, სპორტის ეს მეტად ძნელი სახეობა, ორიგინალური და საინტერესოა როგორც თავისი წარმოშობით, ისე განვითარების გზით... სპარსეთ-საბერძნეთის 490 (ჩ.წ.ა.-მდე) წლის ცნობილ მარათონის ომთან ათენის კარგად გაწვრთნილმა მცირერიცხოვანმა არმიამ (10 ათასი კაცი) სასტიკად დაამარცხა სპარსელების ასიათასიანი ლაშქარი. ათენში დიდი მღელვარებით ელოდნენ ომის შედეგს. ბერძენმა მთავარსარდალმა მილტიადესმა თავის ერთ-ერთ საუკეთესო მორბენალ ჯარისკაცს ფიდიპიდესს უბრძანა გამარჯვების ამბავი სასწრაფოდ ეცნობებია ათენელებისათვის. ფიდიპიდესმა შეუსვენებლივ ირბინა სოფელ მარათონიდან ათენამდე, ქალაქში შესვლისას იყვირა: „ნენიკამენ"! (ჩვენ გავიმარჯვეთ) და უსულოდ დაეცა მიწაზე.

ამ გმირული ეპიზოდის უკვდავსაყოფად მარათონული რბენა განახლებული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს. პირველ თამაშებში მარათონული რბენის დისტანცია 40 კილომეტრსა და 200 მეტრს უდრიდა, შემდეგში, კერძოდ, 1920 წლიდან ეს მანძილი 42 კმ და 195 მ-დე გაიზარდა.

პირველ მარათონულ შეჯიბრებაში (1896 წ. ათენში) მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა, მათგან ფინიშთან მხოლოდ რვამ მიაღწია. მაყურებელი აღტაცებული შეხვდა მორბენლებს. განსაკუთრებით კი გამარჯვებულ თანამემამულეს, ბერძენ ფოსტალიონს სპირიდონ ლუისს. ლუისმა დისტანციის დაფარვას სამი საათი მოანდომა.

მარათონული რბენა დღეს მასობრივი, პოპულარული შეჯიბრება გახდა. მარტო ნიუ-იორკში 1981 წელს გამართულ მარათონულ რბენაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 40000-მა კაცმა. მათგან კომისიამ შეჯიბრებაში მხოლოდ 17000 შედარებით ძლიერი და კარგად მომზადებულნი დაუშვა. შეჯიბრების შედეგები ისეთი იყო, რომ მასში თუ 1896 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი სპირიდონ ლუისი მიიღებდა მონაწილეობას, იგი ფინიშთან მესამეათასე მივიდოდა, ამასთან უკან ჩამორჩებოდა ასობით ქალს.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ სახელგანთქმული ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის შვილიშვილს მერიელ ჰემინგუეის. მერიელი მძლეოსანი არ გახლავთ, კინომსახიობია, მაგრამ რამდენიმე წლის წინ მან ერთ-ერთ ფილმში მძლეოსანი ქალის როლი შეასრულა. იმისათვის, რომ ამ ამპლუაში დამაჯერებლად ეგრძნო თავი, მსახიობი ერთი წლის განმავლობაში ვარჯიშობდა მძლეოსნობაში. ფილმს დიდი წარმატება ხვდა. მერიელ ჰემინგუეისთვის კი იგი სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი გამოდგა: მას ძალიან შეუყვარდა სპორტის ეს სახეობა და ყოველ სამუშაო დღეს 15-კილომეტრიანი გარბენით იწყებს.

საინტერესოა საშუალო და გრძელ მანძილზე რბენაში ქალთა შეჯიბრებების ისტორიაც. ქალის და მარათონის ერთ კონტექსტში ხმარება ცოტა ხნის წინათ გაოცებას ან ირონიულ ღიმილს გამოიწვევდა. სპეციალისტებს მრავალი წლის მანძილზე მიაჩნდათ, რომ ქალებს არ შეუძლიათ გრძელ მანძილზე რბენა. პირველ ოლიმპიადაში (1896 წ.) ქალებს სპორტის არც ერთ სახეობაში არ მიუღიათ მონაწილეობა. ისინი მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიოდნენ. მომდევნო ოლიმპიადებში ქალები თამაშობდნენ გოლფს, ჩოგბურთს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცურვაში, მშვილდოსნობაში, მაგრამ რბენა ქალის საქმედ არ ითვლებოდა.

ქალებმა მხოლოდ IX ოლიმპიურ თამაშებზე მიიღეს შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება და ისიც მხოლოდ 100, 800 მ-ზე რბენაში და 4X100 მ ამანათრბენში. 100 მ-ზე რბენამ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ 800 მეტრი ბევრმა ვერ დაძლია. 400-500 მეტრის გარბენის შემდეგ ძალაგამოლეული სპორტსმენი ქალების დიდმა ნაწილმა რბენა შეწყვიტა. მათ კი, ვინც დისტანცია დაამთავრა, მეტად დაბალი შედეგი აჩვენეს. ეს ფაქტი სპორტის სპეციალისტების ადრეული შეხედულების — რბენა ქალის საქმე არ არისო — დადასტურებად მიიჩნიეს და ამის გამო ეს სახეობა ოლიმპიადების პროგრამიდან ამოიღეს. მას შემდეგ, წლების მანძილზე მსხვილ საერთაშორისო შეჯიბრებებში საშუალო და გრძელ მანძილზე რბენაში ქალები არ მონაწილეობდნენ.

მაგრამ ქალები, როგორც იტყვიან, ტყუილად არ კარგავდნენ დროს. ისინი ვარჯიშობდნენ 800, 1500 მ-ზე და უფრო გრძელ მანძილზე რბენაში. ზოგიერთმა მარათონულ დისტანციაზე გამოსვლაც გაბედა. მათ შორის პირველი იყო ფრანგი მარი-ლუიზ ლედრიუ, რომელმაც ეს დისტანცია 1918 წელს დაძლია, მაგრამ მაშინ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა, ამის შესახებ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაცია სარწმუნოდ არ მიიჩნია და ისე მიიღო, როგორც კურიოზული შემთხვევა.

გადიოდა წლები. ქალები გულმოდგინედ ეუფლებოდნენ რბენას სხვადასხვა დისტანციაზე. 1960 წლიდან 800 მ-ზე სირბილი ქალებისათვის მტკიცედ დამკვიდრდა დიდი მასშტაბის შეჯიბრებების პროგრამაში, 1972 წლიდან კი 1500 მ-იანი დისტანცია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩართეს. ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა რბენა 3, 5, 10 კმ-ზე. დიახ, ქალებს არ სურდათ მამაკაცებს რამეში ჩამორჩენოდნენ.

50-იან წლებში გახშირდა ცნობები მარათონულ რბენაში „სუსტი სქესის" წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ. მეტი და მეტი ქვეყნები ამაყად აცხადებდნენ, რომ მათაც ჰყავდათ ქალები, რომელთაც ძალა შესწევდათ 42 კმ გაერბინათ. მაგრამ ამ წლებში მარათონული დისტანცია ჯერ კიდევ „მამაკაცთა სახეობად" ითვლებოდა, ხოლო შეჯიბრებაში ქალების მონაწილეობას შემთხვევითობად მიიჩნევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში მარათონულმა რბენამ მასობრივი ხასიათი მიიღო, მისი დისტანცია მაინც ისევე ძნელი დასაძლევია, როგორც ადრე იყო. ისე, როგორც ადრე, სტარტზე გამოსვლისას დღესაც არც ერთმა მარათონელმა არ იცის, როგორ დამთავრდება მისთვის დისტანცია. ეს სპორტის ერთადერთი სახეობაა, რომელშიაც ზოგჯერ ყოველი ასიდან 60 მონაწილე ვერ აღწევს ფინიშს. ცნობილია, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე, 1908 წელს ლიდერი დორანდო პიეტრი ფინიშის მახლობლად ძალაგამოცლილი დავარდა. 40 წლის შემდეგ, 1948 წელს ლონდონში ოლიმპიადის განმეორებით ჩატარებისას, თითქმის იგივე შეემთხვა ბელგიელ რიშარ რეინს. მოსკოვის ოლიმპიადაზე დისტანცია ვერ დაამთავრა ცნობილმა ლასე ვირენმა. დროდადრო ასეთი რამ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ მარათონელებსაც ემართებათ.

დღეისათვის საუკეთესო მარათონელები დისტანციას 2 საათსა და 8-9 წუთში ამთავრებენ. რა დონეზეა ქალთა მარათონი?

1967 წლის 8 მაისს მარათონული რბენის ისტორიაში სენსაციური შემთხვევა მოხდა — ტორონტოში 13 წლის გოგონა მოურინ უილსონი 28 მარათონელ მამაკაცს შორის ფინიშთან მეექვსე მივიდა და ქალებისათვის საუკეთესო დრო აჩვენა — 3:15.23.

1970 წელს 16 წლის კაროლინა უოლკერი თავისი შედეგით მჭიდროდ მიუახლოვდა 3 საათს. მისი დრო იყო 3:02,53. 1972 წელს ეს შედეგი გააუმჯობესა იტალიელმა პაოლა პინიმ — 2:47.02. ამის შემდეგ რეკორდს რეკორდი მოჰყვა. გაოცებას უფრო ამ რეკორდების დამყარების ტემპი იწვევდა. ქალთა შედეგები უმჯობესდებოდა არა წამებით, არამედ წუთებით. ასეთ პროგრესს, რასაც მამაკაცებმა ათეული წლები მოანდომეს, ქალებმა სულ მოკლე ხანში მიაღწიეს.

ცოტა ხნის წინათ აშშ-ში ჩატარდა შეჯიბრება ზეგრძელ მანძილზე — 100 მილზე რბენაში (160,9 კმ). პაპანაქება სიცხეში მხოლოდ ორმა მონაწილემ შეძლო ფინიშამდე მიღწევა. გაიმარჯვა 35 წლის ნატალი კალიმორმა. მისი დრო — 18 საათი, 9 წუთი და 16 წამი იყო.

1980 წელს ნიუ-იორკის ცნობილ მარათონში მონაწილეობა მიიღო 14000-მა მორბენალმა. მათ შორის იყო ასობით ქალი, რომლებსაც სულაც არ აშინებდათ მეტოქეთა ტიტულები. დაიწყო შეჯიბრება, მორბენლებმა გაირბინეს 10, 20, 30 კილომეტრი. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით მიდის, მაგრამ ფინიშთან გასაოცარი ამბავი ხდება — მეწინავე მამაკაცთა ჯგუფში აღმოჩნდა ნორვეგიელი ქალი გრეტა ვაიცი. დიახ, გრეტა აქ ნაჩვენები შედეგით პირველ ადგილს დაიჭერდა 1948 წლამდე ჩატარებულ ყველა ოლიმპიადაში. განსაკუთრებით საინტერესოა ის ამბავი, რომ მან 10 წუთზე მეტით გაუსწრო ისეთ სახელგანთქმულ მორბენლებს, როგორიც ოლიმპიურ თამაშებში ოთხჯერ გამარჯვებული ლასე ვირენი და ევროპის ჩემპიონი მარტი ვაინიო იყო.

გრეტა ვაიცი

ქალთა შორის მარათონული რბენის განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მძლეოსან ქალებსაც. მაგალითად, ელენე ცუხლომ უჟგოროდში გამართულ მარათონში არა მარტო საკავშირო რეკორდი დაამყარა (2 საათი, 37 წუთი და 44 წამი), არამედ უკან ჩამოიტოვა 100 მამაკაცი.

ინგრიდ ქრისტიანსენი

1981 წელს ნიუ-იორკის მარათონში პირველი ადგილი დაიკავა ახალზელანდიელმა ალისონ როუმ. შედეგი — 2:25.29. ეს დრო ახალი მსოფლიო მიღწევა იყო. მაგრამ ქალები ამას როდი დასჯერდნენ. რევანში აიღო დაუღლელმა გრეტა ვაიცმა. ამისათვის მან აირჩია ლონდონის მარათონი, რომელიც 1983 წლის 17 აპრილს ჩატარდა და რომელშიც 18700 მორბენალი მონაწილეობდა. ვაიცმა გაიმეორა ა. როუს რეკორდი (აჩვენა დრო — 2:25.29).

მეორე დღეს — 18 აპრილს, პლანეტის მეორე კუთხეში — ბოსტონში ამერიკელმა ქალმა ჯოან ბენუამ 42 კმ და 195 მ დაძლია, ახალი რეკორდი დაამყარა — 2:22.42 აჩვენა, რითაც თითქმის სამი წუთით გააუმჯობესა ძველი მიღწევა. ამ მიღწევის შესაფასებლად საკმარისია ითქვას, რომ ბენუა ასეთი შედეგით მე-16 ოლიმპიურ თამაშებზე პირველი იქნებოდა მამაკაცებს შორის. შარშან კი ნორვეგიელმა ინგრიდ ქრისტიანსენმა ლონდონის მარათონში ფენომენალური შედეგი აჩვენა — 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2:21.06-ში დაფარა.

მარათონში უმაღლესი მსოფლიო მიღწევის 40 წუთით გაუმჯობესებისათვის მამაკაცებს 50 წელზე მეტი დასჭირდათ, ქალებმა კი ეს გზა ოთხჯერ უფრო სწრაფად, 13 წლის განმავლობაში გაიარეს და მჭიდროდ მიუახლოვდნენ მამაკაცთა შედეგებს. იქნებ ისეთი დროც დადგეს, როცა ქალები მარათონულ რბენაში თავიანთი შედეგით მამაკაცებს გაუტოლდებიან?!

დავით ჟვანია,

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ყოველ შეჯიბრებაზე — მედალი

ფინეთში გამართულ პნევმატური იარაღით მსროლელთა შეჯიბრებაზე თბილისელმა მოსწავლემ ნინო სალუქვაძემ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის ორი მედალი მოიპოვა. როგორც ცნობილია, ამ ასპარეზობაზე მოზრდილთა და იუნიორთა პირველობები ცალ-ცალკე ჩატარდა. ნინომ პნევმატური პისტოლეტით სროლაში მესამე ადგილი დაიკავა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანს, გფრ-ის სპორტსმენს, რომელმაც 379 ქულა მოაგროვა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ქვეყნის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში სალუქვაძეც იყო, 1113 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გავიდა. გამარჯვებულებმა — გფრ-ის ნაკრების წევრებმა 6 ქულით უკეთესი შედეგი აჩვენეს.

ინფორმაცია

კალათბურთი

გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირის ორი შეხვედრა.

ზაგრები. ადგილობრივმა „ციბონამ" მადრიდის „რეალი" ანგარიშით 88:81 (44:50) დაამარცხა. ახლა „ციბონასა" და კაუნასის „ჟალგირისს" 15-15 ქულა აქვთ.

პარიზი. „ოლიმპია სიმაკმა" (მილანი) საფრანგეთის კლუბ „ლიმოჟს" აჯობა — 87:81 (45:46).

ციგურები

ინცელი. მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს, კარინ კანიაენქემ (გდრ) 1500-მეტრიან დისტანციაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2.02,23.

ძალოსნობა

ვოლგოგრადი. აქ გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატი და საერთაშორისო ტურნირი ძალოსნობაში „მეგობრობის თასზე". 67,5 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი კალინინელმა ვლადიმერ გრაჩოვმა დაიკავა. ორჭიდში მისი შედეგი 330 კილოგრამი იყო.

მძლეოსნობა

კობე. მძლეოსანთა ზამთრის საერთაშორისო ტურნირში კანადელმა მარკ მაკკოიმ 50 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა. დისტანცია მან 6,25 წამში გაირბინა.

„ლელოს" მორიგი ნომერი, გამოვა სამშაბათს, 11 მარტს.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს ცხენოსნობის ფედერაცია და ცხენის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოება იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი, საქართველოში ცხენოსნობის ეროვნული სახეობების აღორძინება-განვითარების ერთ-ერთი ენთუზიასტი

ქრისტეფორე ივანეს ძე მჭედლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უუ 00369